დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კონფლიქტოლოგია, სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

22/08/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
30/08/2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, ა(ა)იპ - თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კონფლიქტოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Conflictology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კონფლიქტოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინტერდისციპლინური - სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა - 0388
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	არააკრედიტებული 11/11/2011; დადგენილება N289
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამამ კონფლიქტოლოგიაში რამდენიმე აკრედიტაცია გაიარა, ბოლო აკრედიტაცია 2011 წლის 11 ნოემბერს გაიარა (დადგენილება N289, 11.11.2011). პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2021 წლის 31 დეკემბერს.

საგანმანათლებლო პროგრამა 2000 წლიდან კონფლიქტების ანალიზის და მართვის სახელით ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც შემდგომში სადოქტორო პროგარამაც დაემატა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტის „კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID მიერ დაფინანსებული პროექტის „მედიაცის კლინიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფარგლებში მომზადდა. საგანმანათლებლო პროგრამა ერთადერთია საქართველოში და მას ანალოგი არ აქვს. სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა სახელით: კონფლიქტების ანალიზი და მართვა (0314), თუმცა კლასიფიკატორის ცვლილების შედეგად ის 0314-დან გადავიდა 0388-ში (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა) და შესაბამისად, მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, პროგრამის შედეგები და მიზნები ახალი კლასიფიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მიესადაგა. პროგრამაში სავალდებულო და არჩევით კურსებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სავალდებულო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „კონფლიქტების ტრანსფორმაცია“ და „ინგლისური ენა“ (ზოგადი კურსი). არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „ჰიბრიდული ომის თეორია და პრაქტიკა“, „საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია და კონფლიქტი“, „სოციალური ჯგუფები“, „ინტერაქცია და კონფლიქტი“. სავალდებულო კურსი „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გადავიდა არჩევით კურსებში სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოღებულია რამდენიმე სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი. სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულია: „საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“; არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია: „სამართლის საფუძვლები“, „პროექტების მართვა“, „კიბერუსაფრთხოება; კიბერდანაშაულის გამოძიება და პრევენცია“, არჩევითი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი „Conflict Assessment and Program Evaluation“ (ასეთი ტიპის სასწავლო კურსებს, რომელსაც მოწვეული უცხოელი პროფესორი უძღვება, პროგრამა პერიოდულად სთავაზობს სტუდენტებს).

საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა შემდეგი სასწავლო კურსები: „კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები“ (1 და 2) გახდა „კონფლიქტების ანალიზი და ფასილიტაცია“ და „მოლაპარაკების ხელოვნება“; ასევე არჩევითი სასწავლო კურსი ინგლისურ ენაში ინგლისური ენა 2“ გახდა „დარგობრივი ინგლისური ენა“.

საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდა გარკვეული ცვლიბები სასწავლო კურსებში შეფაებებთან დაკავშირებით. კერძოდ, გაუქმდა დასწრების ქულები და შეიცვალა დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური კომეტენციის ზღვარი და ის ასე განისაზღვრა: 40ქულიანი გამოცდის შემთხვევაში გამოცდაზე დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა გახდა, 35ქულიანი გამოცდის შემთხვევაში - 23 ქულა და 30ქულიანის შემთხვევაში - 26 ქულა.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამა 2021 წელს ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცდა და წარედგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი განხილვისთვის. მითითებული რეკომენდაციების და შესწორებების გათვალისწინებით შედგა სარეაკრედიტაციო პაკეტი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულია დასავლური უნივერსიტეტების ანალოგიური სამაგისტრო პროგრამები, როგორიცაა მეისონის უნივერსიტეტი დენვერის უნივერსიტეტი (აშშ), ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია).

საგანმანათლებლო პროგრამა კონფლიქტოლოგიაში 120 კრედიტიანია, რაც მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 ECTS კრედიტი), არჩევით კომპონენტს (არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS კრედიტი).

სავალდებულო კურსები სტუდენტს აძლევს ცოდნას ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა კონფლიქტების თეორიები, კვლევის მეთოდები, მართვა, დარეგულირება, მედიაცია და სხვ. არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს მისი ინტერესების შესაბამისად გაიღრმავოს ცოდნა სასურველი მიმართულებით კონფლიქტოლოგიაში. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მეოთხე სემესტრში სტუდენტი ახორციელებს სავალდებულო კვლევას ხელმძღვანელის კონსულტაციით და წერს სამაგისტრო ნაშრომს.

აღსანიშნავია, რომ ასევე შეიცვალა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ინგლისური ენა B1 დონე შეიცვალა გასაუბრებით უცხო ენაში და მიღების წინაპირობის დონედ ინგლისური B2 განისაზღვრა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 22 აგვისტოს შედგა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტი მიმდინარეობდა განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ჩატარდა ინტერვიუები უსდ სკოლის ადმინისტრაციასთან, უსდ და სკოლის ხარისხის განვითარების სამსახურთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

a. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
b. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
c. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
d. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
e. მეტყწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გადავიდეს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: “კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება ისე, რომ სავალდებულო სასწავლო მასალა არ მეორდებოდეს ამ კურსებში.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით; ასევე მიზანშეწონილია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ სილაბუსში ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა) გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი სფერო ძირითადი სასწავლო კომპონენტებით უფრო იყოს გაძლიერებული.

2. არჩევით სასწავლო კურსში „დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დამხმარე ლიტერატურას დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.

3. სასწავლო კურსში „საერთაშორისო კონფლიქტები“ სავალდებულო ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გახდეს და სწავლის შედეგების შესაბამისად გაიწეროს წასაკითხი მასალის ოდენობა.

4. სასწავლო კურსებში ინგლისური ენა (ზოგადი) და დარგობრივი ინგლისური ენა ლიტერატურა იყოს ენის მატარებელი ავტორების ნაშრომების სახით წარმოდგენილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ორგანიზაციამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასკვნა. დაწესებულება სრულად იზიარებს 1 რეკომენდაციას 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. რაც შეეხება 3 დანარჩენ რეკომენდაციას უნივერსიტეტმა წარმოადგინა თავისი პოზიცია და არ ეთანხმება რეკომენდაციებს. 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ძალაში ვტოვებთ რეკომენდაციებს. რაც შეეხდება მე-4 რეკომენდაციას: უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული ცვილებები პროგრამაში რეკომენდაციებთან დაკავშირებით განხორციელდა ვიზიტის შემდეგ, კერძოდ

რეკომენდაცია 4 (კომპონენტი 1.5 (3) *სასწავლო კურსი/საგანი*): *„რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა“*.

ინსტიტუციური პოზიცია: *„ინგლისური ენა (ზოგადი კურსი)“ და „დარგობრივი ინგლისური ენა“, მოდიფიცრდება სასავლო კურსის სახელწოდება - „დარგობრივი ინგლისური ენა 1“ და დარგობრივი ინგლისური ენა 2“ და განახლდება სილაბუსები.* ვიზიტის შემდგომ გატარებულ ცვლილებებს ვერ გავითვალისწინებთ,

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლოს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები უსდ-ის, მისიის, მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისია; ის შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დარგისა და აკადემიური საზოგადოების განვითარების საჭიროებებს, ასევე იცნობს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის საჯარო და ხელმისაწვდომი, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტის ვებგვერდი საკუმუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციების მეშვეობით.
აქვე უნდა აღინინიშნოს, რომ პროგრამა ხორციელდებოდა სახელით: კონფლიქტების ანალიზი და მართვა (0314), რომელიც შეიცვალა და ამჟამად საგანმანათლებლო პროგრამა ხოციელდება 0388 კოდით (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაციის მართვა). შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა გარკვეული ცვლილებების შემდეგ მოერგო სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის ფართო სფეროს მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.tsu.ge
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღნიშნული სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებიდან და ფარავს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც დასტურდება მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკით. წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის გაზომვადი, ლოგიკურად დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. თითოეული შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში სასარგებლო როლი შეასრულა დამსაქმებლების გამოკითხვამ, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

საგნმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის მთავარ საზომად სასწავლო კურსების შინაარსებია წარმოდგენილი. სასწავლო კურსებში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითში, წარმოდგენილი სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები თუ მიდგომები აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც 2022 წელს შემუშავდა და რომელიც კონფლიქტოლოგიის სფეროს მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის საგანმანათლებლო კომიტეტების ოქმები;
- პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან, ეროვნული კლასიფიკაციის ჩარჩოს აღწერილობებთან და კონფლიქტოლოგიის დარგის სპეციფიკასთან. საგანმანათელბლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ნათლადაა განსაზღვრული. ის მოიცავს როგორც პირდაპირ (სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება), ისე არაპირდაპირ შეფასების (სტუდენტების შეფასება და დამსაქმებელთა შესაძლო შეფასება) ფორმებს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის და შემდგომი ცვლილებების განხორციელებისთვის. სწავლის შედეგების მიღწევას საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელებთან ერთად აფასებს ჯერ პროგრამის კომიტეტი, შემდგომ კი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თუ შუალედური მონიტორინგის პროცესში (აკადემიური მოსწრების ყოველსემესტრული ან ყოველწლიური ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვები) გამოიკვეთა სწავლის შედეგების მიუღწევლობა სტუდენტების მიერ, ამ შემთხვევაში პროგრამის კომიტეტი ახორციელებს იმ სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლებისა თუ მეთოდების დეტალურ შესწავლას, სადაც გამოვლინდა ზემოაღნიშნული პრობლემა. ამის შემდეგ პროგრამაში ცვლილებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
საგანმანათლებლო პროგრამაში ყოველ სემესტრში ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, რასაც აკვირდება პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი და სამიზნე ნიშნულების მიუღწევადობის შემთხვევაში, პროგრამის ცალკეული დეტალები კორექტირდება. მაგ., პანდემიის პერიოდში თსუ-ში შეიქმნა კრიზისის მართვის ჯგუფები, რომელმაც შეიმუშავა კრიზის მართვის ინსტრუქცია და განიხილა შეფასების სისტემის მოდიფიკაცია კრიზისის პერიოდში.
კონფლიქტოლოგიის პროგრამაზე სტუდენტებს შორის ფოკუს ჯგუფებში ინტერდისციპლინური პროგრამების კომიტეტის მკვლევართა ჯგუფმა იმუშავა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებისთვის (სამუშაოები ჩატარდა: 2020 წლის 5 ნომბერს და 2022 წლის 5 თებერვალს). აღსანიშავია, რომ პროგრამის განვითარებისთვის გამოყენებულია გარე ექსპერტის შეფასებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- სასწავლო კურსები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ფოკუს-ჯგუფები;
- 2020-2021 წლის აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- გარე ექსპერტის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის	X	☐	☐	☐

შედეგების შეფასების მექანიზმი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის სამაგიტრო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი სტუქტურული ერთეულები: ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკუტეტი, კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები, თვითშეფასების ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და ის მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს. პროგრამის ფარგლებში კურიკულუმის სასწავლო კომპონენტები შემდეგნაირადაა განაწილებული:

1. სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 ECTS კრედიტი
2. არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი
3. სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო) - 30 ECTS კრედიტი

სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს ძირითად ცოდნას ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა კონფლიქტების თეორიები, კვლევის მეთოდები, კონფლიქტების მართვა, ტრანსფორმაცია, მოლაპარაკებები და მედიაცია და სხვა.

არჩევითი კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს კონფლიქტოლოგიის ის მიმართულება, რომელიც მის უშუალო ინტერესებს შეესაბამება. მაგ., პოლიტიკური კონფლიქტების მართვა, ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში, ომი, ძალადობა და კონფლიქტის მართვა და სხვა.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში მოხდა გარკვეული ცვლილებები რეაკრედიტაციისთვის. კერძოდ, გაუქმდა მოდულების სისტემა და შემოვიდა არჩევითი საგნები.

კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კომპონენტთან ერთად კვლევით კომპონენტსაც მოიცავს და სტუდენტს სთავაზობს ისეთ კურსებს, რომელიც მის კვლევით უნარებს განავითარებს („სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები“, „სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“, „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“, „სამაგისტრო ნაშრომი“). ყოველი სტუდენტი მეოთხე სემესტრში ირჩევს ხელმძღვანელს და მასთან კონსულტაციით ახორციელებს კვლევით პროექტს და საბოლოოდ წერს სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამის ხელმძღვანელებთან და განახორციელებელ ჯგუფთან ინტერვიებმა და სილაბუსების დეტალურმა გაცნობა გვიჩვენა, რომ პროგრამაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა რეაკრედიტაციისთვის პროგრამის მზადებისას. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც სავალდებულოა, ვფიქრობთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის კურსი არჩევითი საგნიდან უნდა გადავიდეს სავალდებულო

საგნებში. ინტერვიუზე პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტების კვლევითი კომპონენტის ნაწილში სწავლობენ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს და რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მათ გაიარეს აკადემიური წერა, თუმცა სამაგისტრო საფეხურზე ნაშრომის მომზადებისთვის „სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი“ საჭირო პრერეკვიზიტია.
კონფლიქტოლოგიის პროგრამა, რომელიც ხორციელდება 0388 კოდით, ხასიათდება ინტერდისციპლინურობით და შესაბამისად, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადახვა სამეცნიერო დისციპლინებთან. კონფლიქტოლოგია ისეთ მეცნიერებს ეყრდნობა, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეკონომიკა და ა.შ. შესაბამისად, ამ მიმართულებით პროგრამის ძირითადი სასწავლო კომპონენტებით გაძლიერება ფართო არეალს შეუქმნის სტუდენტს და მისცემს საშუალებას, მრავალი მხრიდან გააანალიზოს მისთვის სააკვლევად არჩეული თემა კონფლიქტოლოგიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის რუკა;
- კონფლიქტოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებელი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი: https://bit.ly/3cFiWky
- საგანმანათლებლო კომიტეტების მუშაობის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია,** „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ გადავიდეს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან (სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა) გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი სფერო ძირითადი სასწავლო კომპონენტებით უფრო იყოს გაძლიერებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა სამი კომპონენტისგან შედგება: სავალდებულო სასწავლო კურსები, არჩევითი სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

სავალდებულო სასწავლო კურსებია: კონფლიქტოლოგია; კონფლიქტების ანალიზი და ფასილიტაცია; კონფლიქტები „ცივი ომისა“ და მის შემდგომ პერიოდში (1945-1999); სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები; ინგლისური ენა (ზოგადი კურსი); კონფლიქტების ტრანსფორმაცია; საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; მოლაპარაკების ხელოვნება; კონფლიქტის გლობალური კონტექსტი; მშვიდობის მშენებლობა; საერთაშორისო კონფლიქტები; მედიაცია;

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებია, რომელსაც სტუდენტი მისი სურვილისამებრ ირჩევს: ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში; აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები; სოციალური ჯგუფები, ინტერაქცია და კონფლიქტი; პოლიტიკური კონფლიქტების მართვა; სოციალური ფსიქოლოგია; საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია; დარგობრივი ინგლისური ენა; პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე; კონფლიქტების პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში; სამხედრო პოლიტოლოგია; სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS); ჰიბრიდული ომის თეორია და პრაქტიკა; სამაგისტრო კვლევის დიზაინი; ომი, ძალადობა და კონფლიქტის მართვა; საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია და ფსიქოლოგიური ომი.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურსების განახლების პროცესში დიდი ყურადღება ეთმობოდა შეასაბამისი სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ქართულ ენაზე. თუმცა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია მწირ ქართულენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამიტომ, სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე და სავალდებულო საგნად დაემატა ინგლისური ენა (ზოგადი კურსი), არჩევით კურსში კი მოდიფიცირდა დარგობრივი ინგლისური ენა.

სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტს სწავლობს საბაზისო სავალდებულო კურსებს, ინგლისურ ენას (ზოგადი კურსი) და ერთ არჩევით კურსს სამი სასწავლო კურსიდან; სწავლების მეორე სემესტრში სტუდენტს შეეთავაზება სავალდებულო კომპონენტის საგნები, კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსი და შეთავაზებული არჩევითი საგნებიდან ერთი სასწავლო კურსი; სწავლების მესამე სემესტრში სტუდენტი სწავლობს სამ სავალდებულო კურსს და ორ არჩევით კურსს რვა შეთავაზებული კურსიდან (მისი ინტერესების შესაბამისად); მეოთხე სემესტრში სტუდენტი ხელმძღვანელთან კონსულტაციით წერს სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; სასწავლო კურსის თითოეული შედეგი ფასდება.

- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას და ცვლილებას:
    - ✓ სასწავლო კურსში „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ ზოგიერთი ლიტერატურა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას (მაგ., Brigitte L. Nacos “Terrorism and Counterterrorism”, second edition, Penguin Academics, New York, 2008 სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემა არსებობს 2019 წლით დათარიღებული).
    - ✓ სასწავლო კურსში „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სავალდებულო ლიტერატურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი აკადემიური ნაშრომები, ძირითადად საგაზეთო სტატიებითაა ლიტერატურა წარმოდგენილი.
    - ✓ ასევე, არჩევით სასწავლო კურსში „დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დამხმარე ლიტერატურა ძირითადად გერმანულენოვანია. კურსის წინაპირობად არ არის აღნიშნული გერმანული ენის ცოდნა, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს გერმანული ენის არმცოდნე სტუდენტს.

- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში: “კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ მეორდება სავალდებულო ლიტერატურა (ზურიკაშვილი, მაღრაძე, ჯორბენაძე, ჭანიშვილი, ხუციშვილი, „კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობისმშენებლობა“ უნიფემისგამომცემლობა, 2002; საიმონ ფიშერი, ჯავედ ლუდინი და სხვ. „კონფლიქტზე მუშაობა უნარ-ჩვევები და სტრატეგიები (ქართული თარგმანი), მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამოცემა, 2000) და ზოგ შემთხვევაში იდენტურია წასაკითხი გვერდებიც.

- სასწავლო კურსებში ინგლისური ენა (ზოგადი) და დარგობრივი ინგლისური ენა სწავლის მიზნები და შედეგები ემთხვევა ერთმანეთს, ასევე ორივე კურსში იდენტურია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: „კონფლიქტოლოგია“,“კონფლიქტოლოგია“, „კონფლიქტის გლობალური კონტექსტი“, „მშვიდობის მშენებლობა“, „კონფლიქტები ცივი ომის და მის შემდგომ პერიოდში“ ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება ისე, რომ სავალდებულო სასწავლო მასალა არ მეორდებოდეს ამ კურსებში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ მასალის ამოღება, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ კვლევას და მისი ჩანაცვლება აკადემიური ნაშრომებით; ასევე მიზანშეწონილია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია“ სილაბუსში ლიტერატურის განახლება უახლესი გამოცემებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების ინგლისური ენა (ზოგადი კურსი) და დარგობრივი ინგლისური ენა სილაბუსების მოდიფიცირება და სწავლის მიზნების და შედეგების გაწერა, ასევე ლიტერატურის განახლება შესაბამისი შედეგების მიხედვით და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამოყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, არჩევით სასწავლო კურსში „დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დამხმარე ლიტერატურას დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.
- სასურველია სასწავლო კურსში „საერთაშორისო კონფლიქტები“ სავალდებულო ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გახდეს და სწავლის შედეგების შესაბამისად გაიწეროს წასაკითხი მასალის ოდენობა.
- სასურველია სასწავლო კურსებში ინგლისური ენა (ზოგადი) და დარგობრივი ინგლისური ენა ლიტერატურა იყოს ენის მატარებელი ავტორების ნაშრომების სახით წარმოდგენილი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის საფუძველზე. გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა წერითი გამოცდა სპეციალობაში (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. აღნიშნული წინაპირობის მიზანია, შეაფასოს თუ რა ცოდნის, უნარისა და კომპეტენციისაა მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტი კონფლიქტოლოგიაში) და გასაუბრება უცხოურ ენაში (დარგობრივი ინგლისური ტექსტის წაკითხვა, გაგება, დისკუსია და პროდუცირება, რაც გულისხმობს უცხოური ენის ცოდნას სულ მცირე B2 დონეზე).
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ ვებგვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- მაგისტრატურის გზამკვლევი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. სტუდენტებს სამი სემესტრი ეკითხებათ სავალდებულო და არჩევითი საგნები. სალექციო კურსები ითვალისწინებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრეზენტაციებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, როლურ თამაშებს, სიმულაციებს, რაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებაზეა მიმართული.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ სამეცნიერო სტატიები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ელექტრონულ ჟურნალში („სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“); მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა გამოიხატება კვლევით საქმიანობაში მიღებული შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრფამაზე გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია; სემინარი; ჯგუფური მუშაობა; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაცია; როლური თამაშები; ტრენინგი; სიმულაციები; სიტუაციური ანალიზი; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; დისკუსია/დებატები; წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში; პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-სწავლების მეთოდი; ელექტორნული სწავლება. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები ურთიერთშემავსებელია და შესატყვისობაშია ერთმანეთთან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

ამდენად, მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია, ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ურთიერთშემავსებელია და შესატყვისობაშია ერთმანეთთან. ასევე შეესაბამება სწავლის შესაბამის საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებს და შინაარსს. ხოლო არსებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**X**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ. პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: აქტივობას, დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ.

თვითშეფასების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, ხოლო სასწავლო კურსის კრედიტს სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაში, თუ მან აღნიშნულ სასწავლო კურსში, შუალედური და დასკვნითი შეფასების გზით, მინიმუმ 51 ქულა დააგროვა.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასევე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომზე დაცვაზე გატანის საკითხი წყდება რეცენზენტისა და პროგრამის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნისა და პლაგიატის პროგრამის „Turnitin" შემდეგების მიხედვით. ნაშრომის შეფასება ხდება მხოლოდ ერთხელ, დაცვაზე და დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

კურსდამთავრებულები კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებს.

პროფესორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, ასევე უსდ-ს თვითშეფასების გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტუდენტები სემესტრის განმავლობაში იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ხშირ შემთხვევაში, პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებთან ინდივიდუალურად განიხილავენ მიღებულ შედეგებსა და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს. ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning.tsu.ge საშუალებას აძლევს სტუდენტებს ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სისტემატურად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს შეფასების შედეგები, გაანალიზოს ისინი და აისახოს ცვლილებები შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და

რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან.
სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და სასწავლო გეგმაზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.
სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიურ აქტივობებში ჩართვის. ისინი ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და კვლევების შესახებ. ასევე, აქვთ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სტაჟირებაზე. ინსტიტუციისთვის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს, რაც დასტურდება განხორციელებული და დაგეგიმილი საერთაშორისო პროგრამებითა თუ სხვადასხვა პროექტებით.
სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან. მათ შორის, ლექტორთა დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში. რაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გულისხმობს სტუდენტების მიერ მოთხოვნილი სასწავლო კურსის „ინგლისური ენის“ დამატებას სავალდებული სასწავლო კურსებში.
უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;

- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

უნივერსიტეტის სამსგისტრო ნაშრომის დაცვის წესში მითითებულია, რომ მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და კონკრეტული სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი. ერთ სასწავლო სემესტრში აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პედაგოგს შეუძლია არაუმეტეს 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. ამ დროისთვის პროგრამაზე 18 აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტია, სადაც ხელმძღვანელების თანაფარდობა სტუდენტებთან არის 6/18, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს მაგისტრანტს საკვლევი თემის განსაზღვრასა და შერჩევაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში.

დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხორციელდება ხელმძღვანელის უშუალო კონსულტირებითა და მონიტორინგით. თემის ხელმძღვანელებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**6**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**18**
თანაფარდობა	**6/18**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესორი, აქედან 7 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, 4 - მოწვეული პროფესორი. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 18-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა.

უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი", მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღბის პროცესი.

უსდ-ს მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები", რომლის მხიედვით აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი /სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან, ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ფლობენს ამომწურავ ინფორმაციას და მათი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**11**	**11**		**7**
- პროფესორი	3			3
- ასოცირებული პროფესორი	3			3
- ასისტენტ-პროფესორი	1			1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	4			_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf
- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (ამავე თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივი მაჩვენებელი)

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით (ამავე თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივი მაჩვენებელი)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესორი, აქედან 7 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, 4 - მოწვეული პროფესორი. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 18-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა. მაგისტრანტებს ყავს ოვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**		**4**
- პროფესორი	3		
- ასოცირებული პროფესორი	3		
- ასისტენტ-პროფესორი	1		
მოწვეული პერსონალი	4		_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ. ასევე, უსდ აანალიზებს პერსონალის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და გარკვეული პერიოდულობით ახდენს პერსონალის ატესტაციას.

პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია ფაკულტეტის მიერ, რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და უსდ უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით (სამეცნიერო, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.) გარდა სკოლის ადმინისტრაციისა და ხარისხის განვითარების სამსახურისა, პერსონალის განვითარების პროცესში ჩართულია უსდ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მემორანდუმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ).

უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სქემა. აკადემიურმა პერსონალმა შეიძლება მიიღოს გრანტი მაღალ რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების მიზნით.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის დებულება;
- მემორანდუმები და საერთაშორისო მემორანდუმები;
- პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები;
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამუშაოს აღწერილობა;
- ჩატარებული ინტერვიუები;

- უსდ ვებგვერდი www.tsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. სასწავლო მასალა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია; თავის მხრივ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს კომპიუტერული რესურს-ცენტრი (მეოთხე და მეექვსე კორპუსებში), მეოთხე კორპუსში საფაკულტეტო წიგნთა საცავი. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებთან ასევე პროფესორ -მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. თსუ-ს ყველა სტუდენტს (მათ შორის მოცემული

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს) აქვთ შესაძლებლობა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით ისარგებლონEBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893).

პროგრამის ლექტორთა ძირითად ნაწილს გამოშვებული აქვს სასწავლო მასალები, მონოგრაფიები და რიდერები. უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა (https://tsu.ge/ka/library/page/894);
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://e-learning.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი (https://www.tsu.ge/ka/library);
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერის წყაროები

და გაწერილია: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები (როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის); წიგნების ფონდისა და მისი განახლების, გამომცემლობითი, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების პროცესის ინდივიდუალიზებას, რაც გულისხმობს პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად დადგენილ კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებას პროგრამის შეფასების პროცესში.

პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება შემდეგი ინდიკატორები: სტუდენტთა რაოდენობა, საჭიროებები და პროგრესია, დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები, განმახორციელებელი პერსონალი, რაოდენობა, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი. პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

უსდ-ში წარმატებით ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის

კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, მონაწილეობს ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ასევე აქტიური პრაქტიკაა შიდა მონიტორინგის პროცესი, რომელიც სააკრედიტაციო ვიზიტის იმიტაციაა და ხორციელდება კოლეგიალური შეფასების პრინციპებზე დაყრდნობით. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, შიდა შეფასების სამიზნე ხდება საგანმანათლებლო პროგრამა რომელსაც დღიდან ბოლო აკრედიტაციისა არც ერთი ცვლილება არ განუცდია; ხშირად განიცდის ცვლილებებს; ხარისხის სამსახური აკვირდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ვიწრო თემატურ კლასტერს და აფასებს ჰოლისტურად.

პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების განმანხორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებული, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ექსპერტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ კონფლიქტოლოგიის პროგრამის განვითარების პროცეში დაინტერესებული მხარეების მაღალმა ჩართულობამ, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტურმა ფუნქციონირებამ დადებითი გავლენა იქონია პროგრამის განვითარებისა და სააკრედიტააციოდ მომზადების პროცესში, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატროები და შეფასების წესი;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხორციელებული შეფასების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2011 წელს მიენიჭა აკრედიტაცია, აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ექპერტთა ჯგუფის მიგნებები ასახულ იქნა პროგრამის განვითარების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორთან. წარმოდგენილი შეფასების ანალიზის შესაბამისად, პროგრამის ძლიერ მხარედ შეფასებულ იქნა პროგრამის ინტერდისციპლინური შინაარსი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, მხარდამჭერი რესურსები და ასევე, იდენტიფიცირებულ იქნა რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ უსდ გამოთქვამს მზადყოფნას, კოლეგიალური შეფასებისა და გარე შეფასების ფარგლებში მიღებული რჩევები თუ რეკომენდაციები ასახულ იქნას პროგრამის სამომავლო განვითარების გეგმაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;

- კოლეგიალური შეფასების დასკვნა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს ხორციელდება სტუდენტების მიერ აღნიშნული სასწავლო კურსის შეფასება შესაბამისი კითხვარის მეშვეობით. მიღებული მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. პერიოდულად ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასება, ლექციაზე დასწრების გზით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო

ეტაპზე, რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. კონფლიქტოლოგიის პროგრამა დადარებულ იქნა ჯორჯ მეისონის უნივერიტეტის ჯიმი და როზალინ კარტერების მშვიდობის და კონფლიქტის გადაჭრის სკოლის სამაგისტრო პროგრამასთან „კონფლიქტის ანალიზი და გადაჭრა“, ასევე უფსალას უნივერსიტეტის „მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევების“ პროგრამასთან და ოსლოს უნივერსიტეტის „მშვიდობის და კონფლიქტის შესწავლის“ სამაგისტრო პროგრამასთან. შესწავლილი პროგრამების გამოცდილების გაზიარების შედეგად, გამოიკვეთა პროგრამის სტრუქტურის მსგავსება, კვალიფიციური კურსდამთავრებულებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარებზე აქცენტი და ინტერდისციპლური შინაარსი. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტოლოგიის პროგრამას საქართველოში ანალოგი არ აქვს და დიდწილად ითვალისწინებს საქართველოს სპეციფიკას სასწავლო კურსების შინაარსისა და კვლევის თემატიკის განსაზღვრის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეთა მაღალი ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატროები და შეფასების წესი;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხორციელებული შეფასების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კონფლიქტოლოგია, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თინათინ ქაროსანიძე 

თამთა ცხოვრებაძე

ჯოვანა აბლოთია